28/09/2022

კათოლიკოს-პატრიარქმა მთავარეპისკოპოსი ზენონი საქართველოში, საპატრიარქოში გამოიძახა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ 2022 წლის 26 სექტემბრით დათარიღებული ოფიციალური წერილით საქართველოში, საქართველოს საპატრიარქოში გამოიძახა დმანისისა და აგარაკ-ტაშირის და დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავარეპისკოპოსი ზენონი.

პატრიარქმა მეუფე ზენონი საქართველოში გამოიძახა საქართველოს საპატრიარქოს დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქიის ქართულ სამრევლოები უკანასკნელ ხანებში წამოჭრილი დაძაბული პროცესების გამო.

ამჟამად მთავარეპისკოპოსი ზენონი იმყოფება დიდ ბრიტანეთში.



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

#51
26 სექტემბერი, 2022

დმანისისა და აგარაკ-ტაშირის, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავარეპისკოპოს ზენონს

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ,

ბოლო დროს დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ქართულ სამრევლოებში განვითარებული მოვლენების გამო გთხოვთ, ჩამობრძანდეთ საქართველოს საპატრიარქოში, რათა თქვენის მხრიდანაც მივიღოთ ინფორმაცია შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორის აღნიშნული ოფიციალური წერილი მთავარეპისკოპოს ზენონისადმი გაავრცელა ფეისბუქ-გვერდმა “ლონდონის ტაძრის მრევლი”

wenews.ge